



## პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროგრამის იმპლემენტაცია

ეტაპი 2 – აქტივობა H

რეკომენდაციები აუდიტის სისტემის  
განხორციელებისთვის



მომზადებულია საქართველოს ეკონომიკისა  
და მდგრადი განვითარების სამინისტროს  
სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული  
ორგანო - აკრედიტაციის ცენტრისთვის“

**TABLE OF CONTENTS**

1	განმარტებები. ტერმინოლოგია.....	4
2	ინსპექტირება და აუდიტი.....	5
2.1	კონსულტაცია და მხარდაჭერა.....	5
2.2	დაფინანსების წყარო.....	5
3	საერთაშორისო სტანდარტი ISO/IEC17020:2012.....	5
3.1	მოთხოვნები ინსპექტირების სხვადასხვა ტიპის ორგანოების საქმიანობისათვის. მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა და სანდოობა.....	6
3.2	მოთხოვნები პერსონალის მიმართ.....	7
3.2.1	ინსპექტირების ორგანოს ტექნიკური მენეჯერის თანამდებობრივი ინსტრუქცია.....	7
3.2.2	ინსპექტირების ორგანოს სატრანსპორტო საშუალებების ინსპექტორის თანამდებობრივი ინსტრუქციები.....	9
3.2.3	აკრედიტაციის ცენტრისათვის პტი ცენტრის მიერ წარსადგენი ინფორმაცია.....	10
3.3	მოთხოვნები პროცესის მიმართ.....	10
3.3.1	ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.....	10
3.3.2	ინსპექტირების ობიექტებისა და ნიმუშებისადმი მოპყრობა.....	11
3.3.3	ჩანაწერები ინსპექტირების შესახებ. ასს-ს ინსპექტირების ჩანაწერი.....	11
3.3.4	ინსპექტირების ანგარიშები და ინსპექტირების სერტიფიკატები.....	11
3.3.5	საჩივრები და აპელაციები.....	12
3.4	მენეჯმენტის სისტემის მოთხოვნები.....	13
3.4.1	მენეჯმენტის სისტემის დოკუმენტაცია.....	13
3.4.2	დოკუმენტების მართვა.....	14
3.4.3	ჩანაწერების მართვა.....	14
3.4.4	მენეჯმენტის ანალიზი.....	15
3.4.5	შიდა აუდიტი.....	15
3.4.6	მაკორექტირებელი ღონისძიებები.....	16
3.4.7	პრევენციული ღონისძიებები.....	16
4	დადგენილება 511, დადგენილება 510 – საქართველოს მთავრობა.....	17
5	შიდა კონტროლი.....	17
6	ურთიერთმედარების მეთოდოლოგია.....	18
6.1	მოცულობა.....	18
6.2	ურთიერთმესადარებელი სია.....	19
6.2.1	ურთიერთმედარება 1: დაწუნებულ ასს-ებში უარებისა და ძირითადი დეფექტების პროცენტული მაჩვენებელი.....	19

6.2.2	ურთიერთშედარება 2: ვერგავლილ ინსპექტირებასა და განმეორებით ინსპექტირებას შორის არსებული დროის პერიოდი.....	20
6.2.3	ურთიერთშედარება 3: ძირითადი ხარვეზები პრაქტიკული სახელმძღვანელოს თავის შესაბამისად.....	20
6.2.4	ურთიერთშედარება 4: ძირითადი ხარვეზები პრაქტიკული სახელმძღვანელოს ქვეთავის შესაბამისად.....	21
6.2.5	დაშვების ზღურბლი .....	21
7	დანართები .....	21
7.1	დანართი 1: ნიმუშები .....	21
7.2	დანართი 2: ტექნიკური მომსახურების გრაფიკი და კალიბრაციის გეგმა.....	21
7.3	დანართი 3: აუდიტის ჩატარების მოთხოვნის ფორმა: აუდიტის პროგრამა.....	21
7.4	დანართი 4: შიდა აუდიტის პროცედურა .....	22
7.4.1	მიზანი.....	22
7.4.2	მოცულობა.....	22
7.4.3	პასუხისმგებლობა .....	22
7.4.4	განმარტებები.....	22
7.4.5	დაკავშირებული დოკუმენტები .....	22
7.4.6	პროცედურა .....	22
7.4.7	ჩანაწერები .....	23
8	ნორმატივები, მინიშნებები და ბიბლიოგრაფია .....	23

## 1 განმარტებები. ტერმინოლოგია

კონსულტანტი ინარჩუნებს იმავე ტერმინოლოგიას, რომელიც მითითებული და გამოყენებული იყო წინა წარსადგენ მასალაში. დამატებულ იქნა შემდეგი ტერმინები:

- 1) „აუდიტის გადასახადი საზედამხედველო უწყებისათვის“; აუდიტის პროგრამის განსახორციელებელი დაფინანსების წყარო;
- 2) „პრეტენზია“; გულისხმობს ინსპექტირების ერთეულის მიმწოდებლის მოთხოვნას ინსპექტირების უწყების მიმართ, განმეორებით განიხილოს მითითებულ ერთეულთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება;
- 3) „პრაქტიკული სახელმძღვანელო“; გულისხმობს სტანდარტული ინსპექტირების მეთოდს, რომელიც გამოქვეყნებულია ან დაცულია საერთაშორისო, რეგიონული ან ეროვნული სტანდარტებით, აგრეთვე ავტორიტეტული ტექნიკური ორგანიზაციების მიერ. ან რამდენიმე ინსპექტირების უწყებასთან თანამშრომლობის საფუძველზე, შესაბამისი სამეცნიერო ტექსტით ან ჟურნალებით. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი სხვა საშუალებით შემუშავებული მეთოდი, (თავად ინსპექტირების უწყების ან კლიენტის ჩათვლით), ჩაითვლება არასტანდარტულად.
- 4) „საჩივარი“; გულისხმობს პიროვნების ან ორგანიზაციის მიერ ინსპექტირების უწყების მიმართ უკმაყოფილების გამოხატვას აღნიშნული უწყების საქმიანობასთან დაკავშირებით, მოსალოდნელია პასუხის მიღებაც; აღნიშნული არ მოიცავს სააპელაციო საჩივარს.
- 5) „ინტერესთა კონფლიქტის გარეშე“; გულისხმობს მიუკერძოებლობას, ნეიტრალურობას და სამართლიანობას.
- 6) „მიუკერძოებლობა“; გულისხმობს ობიექტურობას.
- 7) „ინსპექტირება“; გულისხმობს პროცესის, მომსახურების, დანადგარების ან მათი პროექტების შემოწმებას, აგრეთვე აღნიშნულის სათანადო ან პროფესიული შეფასების საფუძველზე მიღებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას პროცესების ინსპექტირება შესაძლოა მოიცავდეს პერსონალს, შენობა-ნაგებობებს, ტექნოლოგიას ან მეთოდოლოგიას.
- 8) „ინსპექტირების სქემა“; გულისხმობს ინსპექტირების სისტემას, რომელთან დაკავშირებითაც ვრცელდება იგივე სპეციალური პროცედურები, სპეციალური წესები და პროცედურები.
- 9) „ინსპექტირების სისტემა“; გულისხმობს ინსპექტირების განხორციელების წესებს, პროცედურებს და მათ მართვას.
- 10) „პროცედურის სახელმძღვანელო“; გულისხმობს პრაქტიკულ სახელმძღვანელოს.
- 11) „ობიექტურობა“; გულისხმობს ინტერესთა კონფლიქტის არარსებობას ან აღნიშნულის გადაწყვეტას ისე, რომ უარყოფით ზეგავლენა არ იქონიოს ინსპექტირების ორგანოს შემდგომ საქმიანობაზე. ბალანსი.
- 12) „პროცესი“; გულისხმობს ურთიერთდაკავშირებულ ან ურთიერთმოქმედ აქტივობებს, რაც „შემავალ ინფორმაციას“ გარდაქმნის „გამომავალ ინფორმაციადა“
- 13) „პროდუქტი“ გულისხმობს პროცესის შედეგს.
- 14) „მომსახურება“; გულისხმობს, სულ მცირე, ერთი ქმედების შედეგს, რომელიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს ინტერფეისზე მიმწოდებელსა და კლიენტს შორის, რაც ჩვეულებრივ არ არის მატერიალური. მომსახურება სამგზავროდ ვარგისიანობასთან დაკავშირებით მოიცავს დამკვეთის მიერ წარმოდგენილ მატერიალურ პროდუქტს (სატრანსპორტო საშუალება).
- 15) „ასს-ის ინსპექტირების ანგარიში“ (VIR); გულისხმობს იმას, რომ ინსპექტირების ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედება უნდა აისახოს ინსპექტირების მოხსენებაში ან ინსპექტირების სერტიფიკატში.

## 2 ინსპექტირება და აუდიტი

მომსახურების სტანდარტების განსაზღვრის ან აღნიშნულის მარეგულირებელ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საზედამხედველო უწყებას უნდა ჰქონდეს უფლება პტი მომსახურებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ასპექტში ჩაატაროს ინსპექტირება, აუდიტი ან გამოკვლევა.

საზედამხედველო უწყება მონიტორინგს გაუწევს ინსპექტირებასთან დაკავშირებულ მომსახურებას, რითაც უზრუნველყოფს აღნიშნულის განხორციელებას შეთანხმებული სტანდარტების შესაბამისად; აღნიშნულ უწყებას მიენიჭება პტი ოპერატორის აკრედიტაციის ან ხელშეკრულების მოქმედების ვადაში ინსპექტირებული ნიმუშების ან სატრანსპორტო საშუალების დაგეგმილი და შემთხვევითი შემოწმების სპეციალური უფლება. საზედამხედველო უწყებას მიენიჭება სრული და შეუზღუდავი დაშვება პტი ოპერატორის შენობა-ნაგებობებზე და ყველა შესაბამის ინფორმაციაზე, აღნიშნულის ხელთ არსებულ ან სატრანსპორტო საშუალების ინსპექტირების მომსახურების გაწევის დროს შექმნილ დოკუმენტაციაზე.

საზედამხედველო უწყება განახორციელებს პტი ცენტრების პერიოდულ ინსპექტირებას, რითაც უზრუნველყოფს აღნიშნულის მიერ ხელშეკრულებით, კონტრაქტით ან აკრედიტაციის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურებას.

### 2.1 კონსულტაცია და მხარდაჭერა

საზედამხედველო უწყება უნდა გაძლიერდეს, გაეწიოს რეკომენდაციები და მხარდაჭერა სხვა ორგანოს მიერ სატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების სფეროში არსებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

### 2.2 დაფინანსების წყარო

აუდიტის პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსები სრულად უნდა იქნეს წარმოდგენილი პტი ოპერატორების მიერ. ოპერატორებს დაეკისრებათ აუდიტის გადასახადი, რომელიც, რეკომენდაციის თანახმად, უნდა უკავშირდებოდეს (პროცენტული თანაფარდობა) პტი მომსახურების მიმღები ავტომანქანების მფლობელების გადასახადს.

## 3 საერთაშორისო სტანდარტი ISO/IEC 17020:2012

პტი ცენტრებთან დაკავშირებული ტექნიკურად გამართულობის ყველა სხვა საკითხი, რომლებიც სცდება ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებს, რეგულირდება ISO/IEC 17020:2012 სტანდარტის შესაბამისად, რაც თავის მხრივ დახმარებას გაუწევს საქართველოს კანონმდებლობას ტექნიკური გამართულობის სისტემის გაკონტროლებაში.

აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტი შედგენილ იქნა ინსპექტირების განმახორციელებელი ორგანოების ნდობის ამაღლების მიზნებისათვის.

ინსპექტირების ორგანო განახორციელებს შეფასებას კერძო კლიენტების, მათი სათაო ორგანიზაციების ან ხელისუფლების სახელით. აღნიშნული შეფასების მიზანია ინსპექტირებული ერთეულების რეგლამენტებთან, სტანდარტებთან, სპეციფიკაციებთან, ინსპექტირების სქემებთან ან კონტრაქტებთან შესაბამისობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა. ინსპექტირების პარამეტრები მოიცავს დანადგარების ან ოპერირების სისტემების რაოდენობასთან, ხარისხთან, უსაფრთხოებასთან, მიზანთან და ხანგრძლივი უსაფრთხოების შეაბამისობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ზოგადი მოთხოვნები, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდნენ აღნიშნული ორგანოები იმისათვის, რომ მათ მიერ გაწეული მომსახურება მისაღები იყოს კლიენტებისა და

საზედამხედველო უწყებებისათვის, ჰარმონიზებულია ზემოაღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტთან.

ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტი მოიცავს ინსპექტირების ორგანოს ქმედებებს, რომელთა საქმიანობაც შესაძლოა გულისხმობდეს მასალების, პროდუქტების, დანადგარების, აღჭურვილობების, სამუშაო პროცესების ან მომსახურებების შემოწმებას, მათი მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრას და აღნიშნული საქმიანობის შესახებ კლიენტისათვის მოხსენებას, საჭიროების შემთხვევაში კი ხელისუფლებისათვის მიწოდებას. ინსპექტირება შესაძლოა მოიცავდეს ყველა ეტაპს, ზემოაღნიშნული ერთეულების მომსახურების ვადაში, მათი პროექტირების ეტაპის ჩათვლით. აღნიშნული სახის სამუშაო ჩვეულებრივ საჭიროებს ინსპექტირების განხორციელებისას პროფესიული შეფასების გამოყენებას, კერძოდ კი, ზოგად მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას.

მითითებული საერთაშორისო სტანდარტი შესაძლოა გამოყენებული იქნეს, როგორც აკრედიტაციის, ან თანაბარი მხარის შეფასების ან სხვა შეფასებების მოთხოვნის დოკუმენტი.

ცალკეულ სექტორებთან დაკავშირებით გამოყენებისას შესაძლებელია ზემოაღნიშნული მოთხოვნების ნაკრების ინტერპრეტირება.

ინსპექტირებასთან დაკავშირებულმა საქმიანობამ შესაძლოა გადაფაროს ტესტირებისა და სერტიფიცირების საქმიანობა, თუ აღნიშნული სახის საქმიანობებს გააჩნიათ საერთო მახასიათებლები. თუმცა, მნიშვნელოვან სხვაობას წარმოადგენს ის, რომ ინსპექტირების მრავალი სახეობა მოიცავს პროფესიონალურ შეფასებას, რომელიც განსაზღვრავს მისაღებობას ზოგად მოთხოვნებთან მიმართებაში, რისთვისაც ინსპექტირების ორგანოს ესაჭიროება შესაბამისი კომპეტენცია დავალების შესასრულებლად.

ინსპექტირება შესაძლოა წარმოადგენდეს ხანგრძლივ პროცესში ჩანერგილ საქმიანობას. მაგალითად, ინსპექტირება შესაძლოა გამოყენებული იქნეს პროდუქტის სერტიფიცირების სქემის საზედამხედველო საქმიანობის სახით. ინსპექტირება შესაძლოა წარმოადგენდეს საქმიანობას, რომელიც წინ უძღვის მხარდაჭერას ან უბრალოდ წარმოგვიდგენს ინფორმაციას ინსპექტირებული ერთეულის შესახებ, თუმცა არ მოიცავს განსაზღვრებას მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე. აღნიშნულ შემთხვევებში საჭიროა შემდგომი ინტერპრეტაცია.

ინსპექტირების ორგანოების A, B ან C ტიპის კატეგორიებად დაყოფა მნიშვნელოვანია მათი დამოუკიდებლობის თვალსაზრისით. ტექნიკური გამართულობის ინსპექტირების ორგანოები მიეკუთვნება A კატეგორიას.

ინსპექტირების ორგანოს აშკარა დამოუკიდებლობამ შესაძლოა გააძლიეროს კლიენტთა ნდობა ორგანოს მიერ ინსპექტირების მიუკერძოებლად განხორციელების უნართან მიმართებაში.

### **3.1 მოთხოვნები ინსპექტირების სხვადასხვა ტიპის ორგანოების საქმიანობისათვის. მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა და სანდოობა**

ინსპექტირებასთან დაკავშირებული საქმიანობა უნდა განხორციელდეს მიუკერძოებლად. ინსპექტირების ორგანო პასუხისმგებელი უნდა იყოს ინსპექტირების საქმიანობის მიუკერძოებლობაზე და არ უნდა დაუშვას, რომ კომერციულმა, ფინანსურმა ან რაიმე სხვა სახის ზეწოლამ საფრთხე შეუქმნას საქმიანობის მიუკერძოებლად განხორციელებას. ინსპექტირების ორგანომ უნდა დაადგინოს მიმდინარე რისკები, რომლებიც საფრთხეს უქმნის მის მიუკერძოებლობას და შესაძლოა წარმოიშვას საქმიანობებიდან, ურთიერთობებიდან ან პერსონალის ურთიერთობებიდან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ურთიერთობები ყოველთვის არ უქმნის საფრთხეს ინსპექტირების ორგანოთა მიუკერძოებლობას.

ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ინსპექტირების ორგანოს მიუკერძოებლობას, როგორც ზემოთ არის ნახსენები, შესაძლოა ეფუძნებოდეს საკუთრებას, ხელმძღვანელობას, მენეჯმენტს,

პერსონალს, საერთო რესურსებს, ფინანსებს, კონტრაქტებს, მარკეტინგს (რეკლამირება) და გაყიდვების საკომისიოს ან ახალი კლიენტის ნებისმიერ წახალისებას.

თუ დადგინდა რისკი მიუკერძოებლობის მიმართ, ინსპექტირების ორგანოს უნდა შეეძლოს იმის დემონსტრირება, თუ როგორ აღმოფხვრის ან დაიყვანს მინიმუმამდე ასეთ რისკს.

ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელობამ უნდა აიღოს ვალდებულება მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. ინსპექტირების ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს მესამე მხარის ინსპექტირებას, უნდა აკმაყოფილებდეს A.1 პუნქტში მოცემულ A ტიპის მოთხოვნებს (მესამე მხარის ინსპექტირების ორგანო).

ინსპექტირების ორგანო სამართლებრივად ნაკისრი ვალდებულებით პასუხისმგებელი უნდა იყოს ინსპექტირების საქმიანობის დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის მართვაზე. ინსპექტირების ორგანომ წინასწარ უნდა გააფრთხილოს მომხმარებელი იმ ინფორმაციის შესახებ, რომელიც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდება.

იმ ინფორმაციის გარდა, რომელსაც მომხმარებელი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომს ხდის ან როცა არსებობს შეთახმება მომხმარებელსა და ინსპექტირების ორგანოს შორის (მაგ., საჩივარზე პასუხის გაცემის მიზნით). ყველა სხვა დანარჩენი ინფორმაცია მიჩნეულია კონფიდენციალურად.

### 3.2 მოთხოვნები პერსონალის მიმართ

ინსპექტირების ორგანომ პტი საქმიანობაში ჩართული პერსონალისთვის უნდა შეაფასოს მოთხოვნები მათი კომპეტენტურობის, შესაბამისი განათლების, ტრენინგების, ტექნიკური ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების შესახებ. მოთხოვნები კომპეტენტურობაზე შესაძლოა იყოს სამუშაო აღწერილობის ნაწილი, არსებული რეგულაციების თანახმად, მაგალითად, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის დადგენილება 511 (შემდგომში დადგენილება 511), მუხლი 12, პ.1

#### 3.2.1 ინსპექტირების ორგანოს ტექნიკური მენეჯერის თანამდებობრივი ინსტრუქცია

ძირითადი პასუხისმგებლობები

- მინიჭებული აქვს პტი პროცესის კონტროლისა და მართვის პასუხისმგებლობა;
- იგი პასუხისმგებელია უზრუნველყოს ინსპექტირების პროცესის მიუკერძოებლობა და ობიექტურობა;
- პასუხისმგებელია დანიშნული პტი ცენტრის ოპერაციების ყოველდღიურ მართვასა და ზედამხედველობაზე, რითაც უზრუნველყოფს ოპერაციების შეუფერხებლად მიმდინარეობას, აგრეთვე ინსპექტირების ორგანოების ხარისხს, სახელმძღვანელოს შესაბამისად;
- პასუხისმგებელია პტი ცენტრში წესების დაცვაზე, როგორც ტექნიკური, ასევე ადმინისტრაციული პროცედურების განმავლობაში;
- იგი პასუხისმგებელია შესაბამისად წარმართოს შემდეგი: დადგენილებისა და მოქმედი რეგლამენტების, ინსპექტირების პროცედურების, მომსახურების, ინსპექტირების დანადგარების ტექნიკური უზრუნველყოფისა და კალიბრაციის, ადმინისტრაციული ღონისძიებებისა და დისციპლინური პროცესები;
- მას აგრეთვე შესაძლოა დაეკისროს პრეტენზიებთან/სარჩელებთან დაკავშირებული პროცესების მართვის პასუხისმგებლობა საერთაშორისო სტანდარტებით, აკრედიტაციის ფარგლების შესაბამისად;

სპეციალური პასუხისმგებლობები :

- უზრუნველყოფს ყოველი პტი ცენტრის მიერ ოპერაციების განხორციელებას, შეთანხმებული პროცედურებისა და ინსპექტირების ორგანოს ხარისხის სტანდარტების შესაბამისად;
- ზედამხედველობას გაუწევს და განიხილავს ყოველი პტი ცენტრის პირადი შემადგენლობის საქმიანობას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება პტი ცენტრის ოპერაციების ხარისხი;
- დაიცავს უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, გარემოსა და ხარისხის მოთხოვნებსა და სტანდარტებს, უზრუნველყოფს სისტემის აღჭურვილობის მთლიანობას;
- შეიმუშავებს ტექნიკური მომსახურების გეგმას, რითაც უზრუნველყოფს პტი ცენტრის ტექნიკური მომსახურების სამუშაოების განხორციელებას განრიგის შესაბამისად;
- აწარმოებს პტი ცენტრის ტექნიკური და ადმინისტრაციული სამუშაოების სრულ ჩანაწერებს; ყოველთვიურად მოამზადებს ადმინისტრაციულ მოხსენებას პტი ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებით;
- უზრუნველყოფს, რომ ახალი პროცედურები და პროცესები, რომლებიც წარმოდგენილი იქნება, როგორც პტი საქმიანობის ნაწილი, ეფექტურად და გასაგებად იყოს მიწოდებული პტი პერსონალისთვის და მოთხოვნის შემთხვევაში მხარი დაუჭიროს ტრენინგის მომზადებასა და ჩატარებას. საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას გაუწევს აღნიშნულთან დაკავშირებული სწავლებების ჩატარებას;
- მოამზადებს და სწავლებას ჩაუტარებს პერსონალს და დახმარებას გაუწევს გუნდს, რითაც უზრუნველყოფს მათ მიერ პროცესის მუდმივად საუკეთესოდ წარმართვას.
- განავითარებს და უზრუნველყოფს პარტნიორობას ადგილობრივ ხელისუფლებასთან, პარტნიორებთან, კერძოდ კი პტი ცენტრის მოქმედების არეალში;

#### პროფილი

- უმაღლესი განათლებით ან ბაკალავრის ხარისხით ინჟინერიის დარგში (მექანიკოსი, ელექტრიკოსი ან ავტომექანიკოსი)
- მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება მსგავს თანამდებობაზე, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილებით;
- აუცილებელია ინჟინერთა კომიტეტის სარეგისტრაციო სერტიფიკატი;
- ინსპექტირების ორგანოს სასწავლო სახელმძღვანელოების შესაბამისად სატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების შესაბამისი სწავლებით;

#### საჭირო უნარები:

- გუნდის მართვისა და კოორდინირების უნარი დასახული მიზნის მიღწევის მიზნით;
- ხელმძღვანელობის ყველა საფეხურთან, მესამე მხარის მიმწოდებელთან, კლიენტებთან, შიდა და საგარეო მომხმარებელთან ურთიერთმოქმედების უნარი;
- ავტონომიურად მუშაობისა და სხვადასხვა საქმიანობის ერთდროულად დაგეგმვის/კოორდინირების უნარი;
- ტექნიკური ცოდნა და გამოცდილება შესაბამის დარგში;
- კომუნიკაციის, მოლაპარაკებების წარმოებისა და ინტერპერსონალური უნარები;
- სწრაფად და გადაწყვეტილად მოქმედების უნარი; პრობლემების გადაწყვეტის უნარი;
- დამატულ რეჟიმში მუშაობის უნარი, გამოწვევა სტატუს-ქვო;



გადაწყვეტილებებისა და აქტების გამოყენება დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, ეთიკისა და მთლიანობის სტანდარტების შესაბამისად;

### 3.2.2 ინსპექტირების ორგანოს სატრანსპორტო საშუალებების ინსპექტორის თანამდებობრივი ინსტრუქციები

ძირითადი პასუხისმგებლობები:

- სატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების ჩატარება, ზედამხედველობა და ინსპექტირების დასრულების შემდგომ სერტიფიკატის გაცემა. შესაძლოა მოთხოვნილი იქნეს სხვა ვალდებულებების შესრულება, როგორც ეს მოითხოვება ეფექტური გზით, შესთავაზებს რა კლიენტებს (ავტომანქანების მფლობელებს) მომსახურების ხარისხიან სტანდარტებს ;
- დაინიშნება, როგორც ხარისხის მაკონტროლებელი

ანგარიშვალდებულია

- ტექნიკური მენეჯერის წინაშე;

სპეციალური პასუხისმგებლობები

- სატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების ეფექტურად განხორციელება და აღნიშნულის ზედამხედველობა სტანდარტული პროცედურების შესაბამისად; პასუხისმგებელია ინსპექტორთა მიერ ინსპექტირების მოთხოვნების შესაბამისად ჩატარებაზე;
- ყოველი პარამეტრის შემოწმების უზრუნველყოფა სერტიფიკატის გაცემამდე;
- კლიენტებისათვის სერტიფიკატის გაცემამდე პასუხისმგებელია მათ ხელმოწერაზე სადგურის მენეჯერის ზედამხედველობის ქვეშ და ინსპექტირების ორგანოს სახელით;
- სამუშაო და ტექნიკური უზრუნველყოფის განრიგის შედგენა;
- ტესტირების ცენტრში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის აღება
- დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, ეთიკისა და მთლიანობის სტანდარტების მუდმივად დაცვა;
- ტესტირების ცენტრის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად საჭირო სხვა ვალდებულებების შესრულება ხარისხის კონტროლის შესაბამისად:
  - ინსპექტირების დადგენილი წესები და პროცედურები;
  - ტესტირების სტანდარტები;
  - ტესტირების დანადგარების განკარგვა;
  - ინსპექტირების შედეგების დამუშავება;

პროფილი

- ავტომექანიკოსის სერტიფიკატი, ან ეროვნული პროფესიული სერტიფიკატი, ან ავტომობილების/მექანიკოსების ინჟინერის დიპლომი, ან აღნიშნულის ექვივალენტი. ბაკალავრის ხარისხი ინჟინერიაში ჩაითვლება უპირატესობად.
- გავლილი უნდა ჰქონდეს სატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების სწავლება ინსპექტირების ორგანოს სასწავლო სახელმძღვანელოს შესაბამისად

- მოთხოვნა მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება ავტო მექანიკოსის დარგში, გამოცდილება სამანქანო სახელოსნოს ზედამხედველობის სფეროში;

**მოთხოვნილი უნარები**

- ინსპექტორს უნდა გააჩნდეს იმ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა, რომლის ინსპექტირებაც მან უნდა განახორციელოს;
- მინიმალური ზედამხედველობის ქვეშ დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
- ერთი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
- დროის განკარგვის უნარი;
- პრაქტიკულობა;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- ეთიკურობა და პატიოსნება;
- მოქნილობა;

**3.2.3 აკრედიტაციის ცენტრისათვის პტი ცენტრის მიერ წარსადგენი ინფორმაცია**

ინსპექტირების ორგანოს მიერ აკრედიტაციის ცენტრისათვის მიწოდებული უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია:

- ინსპექტორთა სიაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შესახებ;
- თითოეული ინსპექტორის სასწავლო და სასერტიფიკაციო სტატუსის ნებისმიერი ცვლილების შესახებ;
- ინსპექტორების შრომითი პირობების ცვლილების შესახებ;

**3.3 მოთხოვნები პროცესის მიმართ**

**3.3.1 ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები**

ინსპექტირების ორგანომ ინსპექტირებისათვის უნდა გამოიყენოს მეთოდები და პროცედურები, რომლებიც დადგენილია მოთხოვნებში, რომელთა მიხედვითაც უნდა ჩატარდეს ინსპექტირება.

ის მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც ტარდება ინსპექტირება, დაკონკრეტებულია ინსტრუქციებში, სტანდარტებსა ან მახასიათებლებში, ინსპექტირების სქემებსა ან კონტრაქტებში. პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების წესების კრებული ან პროცედურების სახელმძღვანელო.

ინსპექტირების ორგანოს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა სტატისტიკური მეთოდებისა, რათა უზრუნველყოს ნიმუშების სტატისტიკურად შერჩევის საიმედო პროცედურები, შედეგების სწორი დამუშავება და წარმოდგენა.

ყველა ინსტრუქცია, სტანდარტი ან გაწერილი პროცედურა, სამუშაო ფურცლები, საკონტროლო ფურცლები და საცნობარო მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვანია ინსპექტირების ორგანოს მუშაობისათვის, უნდა იყოს მუდმივად განახლებადი და ადვილად ხელმისაწვდომი პერსონალისთვის.

ინსპექტირების ორგანოს უნდა ჰქონდეს კონტრაქტი ან სამუშაოების კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ:

შესასრულებელი სამუშაო ინსპექტირების ორგანოს კომპეტენციის ფარგლებშია და, რომ ორგანიზაციას აქვს საკმარისი რესურსები მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; რესურსები

შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს: ტექნიკურ აღჭურვილობას, მოწყობილობებს, თანმხლებ დოკუმენტაციას, პროცედურებს ან ადამიანური რესურსებს.

ინსპექტირების ორგანოს მომსახურებით დაინტერესებულთა მოთხოვნები ადეკვატურად იყოს განსაზღვრული და სპეციალური პირობები - გააზრებული, შედეგად არაორაზროვანი ინსტრუქციები შეიძლება გაიცეს იმ პერსონალზე, რომელიც ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს;

მიმდინარე სამუშაოები იმართებოდეს რეგულარული გადასინჯვითა და მაკორექტირებელი ღონისძიებებით;

დაკმაყოფილდეს კონტრაქტის ან მიღებული შეკვეთების მოთხოვნები

დროულად უნდა კეთდებოდეს ინსპექტირების მსვლელობის დროს შეგროვებული დაკვირვების შედეგების ან მონაცემების ჩანაწერი, რათა თავიდან ავიცილოთ შესაბამისი ინფორმაციის დაკარგვა (ავტომატური პროცესი). გამოთვლა და მონაცემების გადაცემა უნდა იყოს შესაბამისი შემოწმების საგანი.

ინსპექტირების ორგანოს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული დოკუმენტირებული ინსტრუქციები ინსპექტირების უსაფრთხოდ ჩატარების მიზნით.

### 3.3.2 ინსპექტირების ობიექტებისა და ნიმუშებისადმი მოპყრობა

ინსპექტირების ორგანომ უნდა უზრუნველყოს ინსპექტირების ობიექტებისა და ნიმუშების იდენტიფიკაცია, რომ აღნიშნული ობიექტები და ნიმუშები არ აირიოს.

უნდა გაკეთდეს ჩანაწერი ნებისმიერ აშკარა გადახრაზე, რომელიც მიღებულ იქნა ან დაფიქსირდა ინსპექტორის მიერ. თუ არსებობს რაიმე ეჭვი ინსპექტირების ობიექტის ინსპექტირების ჩასატარებლად გამოსადეგობის შესახებ, ან თუ ობიექტი არ შეესაბამება მოწოდებულ აღწერილობას, მაშინ პროცედურების დაწყებამდე ინსპექტირების ორგანო მომხმარებელს უნდა დაუკავშირდეს.

ინსპექტირების ორგანოს უნდა ჰქონდეს დოკუმენტირებული პროცედურები და შესაბამისი საშუალებები მისი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი ინსპექტირების ობიექტების დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

### 3.3.3 ჩანაწერები ინსპექტირების შესახებ. ასს-ს ინსპექტირების ჩანაწერი

ინსპექტირების ორგანომ უნდა აწარმოოს შესაბამისი ჩანაწერების სისტემა, რათა შეძლოს ინსპექტირების პროცედურების შედეგიანად შესრულების დემონსტრირება და ინსპექტირების შეფასება. ინსპექტირების ანგარიში ან სერტიფიკატი მიკვლევადი უნდა იყოს იმ ინსპექტორისთვის, რომელმაც ჩაატარა ინსპექტირება.

### 3.3.4 ინსპექტირების ანგარიშები და ინსპექტირების სერტიფიკატები

ინსპექტირების ორგანოს მიერ ჩატარებული სამუშაო უნდა აისახოს ინსპექტირების ანგარიშში ან ინსპექტირების სერტიფიკატში.

ნებისმიერი ინსპექტირების ანგარიშზე/სერტიფიკატზე უნდა აღინიშნოს:

- გამცემი ორგანოს იდენტიფიკაცია;
- საიდენტიფიკაციო ნომერი და გაცემის თარიღი;
- ინსპექტირების თარიღი;
- ინსპექტირებული ობიექტის იდენტიფიკაცია;
- უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ან სხვა სახის დამოწმება;
- საჭიროების შემთხვევაში მტკიცებულება შესაბამისობის შესახებ;

- ინსპექტირების შედეგები

ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია მკაფიოდ, სიზუსტის დაცვით და გასაგებად უნდა იყოს წარმოდგენილი. ინსპექტირების ანგარიშის ან ინსპექტირების სერტიფიკატის გაცემის შემდეგ მათში შეტანილი შესწორებები ან დამატებები უნდა აღირიცხოს ყველა აღნიშნული მოქმედი მოთხოვნების შესაბამისად. შესწორებულ ანგარიშში ან სერტიფიკატში მითითებული უნდა იყოს ის ანგარიში ან სერტიფიკატი, რომლის ჩანაცვლებაც მოხდა.

ზედამხედველი ორგანოს მიერ გამოყენებული:

**პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ანგარიში N: 0000**

ბს-ს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრი (გაბაშელაძე, მისამართი, ტელ)



<b>პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციის მონაშობის ნომერი</b>				
<b>ბს-ს მფლობელი (მხოლოდ იურიდიული პირის შემთხვევაში)</b>				
<b>ხარვესტრადიო ნომერი</b>	<b>პირველბი პტი</b> (ფილ, ოფი, მფლ, ხაბიო)	<b>განმორებითი პტი</b> (ფილ, ოფი, მფლ, ხაბიო)	<b>პტი-ს მოქმედების ვადა</b> (ფილ, ოფი, მფლ, ხაბიო)	<b>ბს-ს კატეგორია</b>
<b>VIN / შახის ნომერი</b>	<b>მარკა, მოდელი</b>	<b>მრავის ტიპი, მოცულობა</b>	<b>რეგ თარიღი</b>	<b>ბს-ს ტიპი</b>
<b>ოფიციის ჩვენება</b>	<b>ხაბის მდებარეობა</b>	<b>CNG სერტიფიკატი</b>	<b>ტექნოლოგია</b>	<b>ხინიჩის მუშაურობა</b>
<b>ბს-ს იდენტიფიკაცია</b>	<b>ხამუხრულ მოწყობილობა</b>	<b>ხაბის მართვის ხისტემა</b>	<b>ხილვადობა</b>	<b>ფარები, შექმნილები</b>
<b>ლენიბი, ოფიბი, საბურ.</b>	<b>შახი ფი შენადენლება</b>	<b>ხბე მოწყობილობები</b>	<b>უარყოფილი ზემოქმედება</b>	<b>დამატებითი ინსპექტ.</b>
<b>აღმუხენილი ხარვეხები</b>				
<b>გამონაბოლქვის ტიპი</b>				
<b>მუხრუქების ტიპი</b>				

**3.3.5 საჩივრები და აპელაციები**

ინსპექტირების ორგანოს უნდა ჰქონდეს დოკუმენტირებული პროცესი საჩივრების, აპელაციების მიღებისა და შეფასებისა, შემდგომი გადაწყვეტილებების მიღებად. საჩივრებისა და აპელაციებისადმი მართვის პროცედურა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი მხარისათვის, მოთხოვნის შესაბამისად. საჩივრის მიღებისას ინსპექტირების ორგანომ უნდა გაარკვიოს, საჩივარი ეხება თუ არა მისი პასუხისმგებლობის ქვეშ ჩატარებულ ინსპექტირებას. დადასტურების შემთხვევაში ინსპექტირების ორგანომ უნდა განიხილოს საჩივარი. ინსპექტირების ორგანო პასუხისმგებელი უნდა იყოს საჩივრებისა და აპელაციების მართვის პროცესის დროს ნებისმიერ დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

საჩივრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ჩატარებული გამოძიება არ უნდა ატარებდეს დისკრიმინაციულ ხასიათს.

საჩივრებისა და აპელაციების მართვის პროცესმა უნდა მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილი ელემენტები და მეთოდები:

- საჩივრის ან აპელაციის მიღება, რეგისტრაცია, გამოძიება და გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, თუ რა ქმედება უნდა გატარდეს;
- საჩივრებისა და აპელაციების აღრიცხვა და კონტროლი, მოსაგვარებლად გატარებული ქმედებების ჩათვლით;
- სათანადო ქმედებების გატარების უზრუნველყოფა.

საჩივრისა და აპელაციის ვალიდაციის მიზნით საჩივრებისა და აპელაციების მიმღები ინსპექტირების ორგანო პასუხისმგებელი უნდა იყოს ყველა საჭირო ინფორმაციის მოძიებასა და შემოწმებაზე. თუ არის შესაძლებელი, ინსპექტირების ორგანომ უნდა დაადასტუროს საჩივრის ან აპელაციის მიღება და მომჩივანი უნდა უზრუნველყოს მიმდინარე სამუშაოების შესახებ ოქმებითა და დასკვნით. გადაწყვეტილება, რომელიც უნდა ეცნობოს მომჩივანს, უნდა მიიღოს, განიხილოს და დაამტკიცოს იმ პირმა (პირებმა), რომელიც არ იყო ჩართული ინსპექტირების იმ საქმიანობაში, რომელიც საჩივრის ან აპელაციის განხილვის საგანია. შედეგებისდაგვარად, ინსპექტირების ორგანომ მომჩივანს უნდა გადასცეს ოფიციალური ცნობა საჩივრის ან აპელაციის მართვის პროცესის დასრულების შესახებ.

### 3.4 მენეჯმენტის სისტემის მოთხოვნები

ინსპექტირების ორგანომ უნდა ჩამოაყალიბოს და შეინარჩუნოს ისეთი მენეჯმენტის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტის თანმიმდევრული განხორციელების შესაძლებლობას ISO 17020:2012-ს A ვარიანტის შესაბამისად. ამ შემთხვევაში, ინსპექტირების ორგანოს მენეჯმენტის სისტემა უნდა მოიცავდეს:

- მენეჯმენტის სისტემის დოკუმენტაციას;
- დოკუმენტების მართვას;
- ჩანაწერების მართვას;
- მენეჯმენტის ანალიზს;
- შიდა აუდიტს;
- მაკორექტირებელ ღონისძიებებს;
- პრევენციულ ღონისძიებებს;
- საჩივრებსა და აპელაციებს;

#### 3.4.1 მენეჯმენტის სისტემის დოკუმენტაცია

ინსპექტირების ორგანოს უმაღლესმა ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშაოს, დოკუმენტურად გააფორმოს და შეინარჩუნოს წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტის განხორციელებისთვის საჭირო პოლიტიკა, მიზნები და, ასევე, უნდა უზრუნველყოს, რომ აღნიშნული პოლიტიკა და მიზნები ცნობილი გახდეს და დაინერგოს ინსპექტირების ორგანოს სტრუქტურის ნებისმიერ დონეზე.

უმაღლესმა ხელმძღვანელობამ უნდა წარმოადგინოს მენეჯმენტის სისტემის შემუშავებისა და დანერგვის ვალდებულების აღების ოფიციალური მტკიცებულებები, აგრეთვე სისტემის შედეგიანობა წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტის თანმიმდევრული განხორციელების ჩვენებით.

დანიშნოს წევრი ხელმძღვანელობიდან, რომელსაც, დამოუკიდებლად სხვა პასუხისმგებლობებისა, ექნება ვალდებულებები და უფლებამოსილებები, რომლებმაც უნდა:

- ა) დაადასტუროს, რომ მენეჯმენტის სისტემისთვის აუცილებელი პროცესები და პროცედურები ჩამოყალიბებული,
- ბ) განხორციელებული და შენარჩუნებულია; და
- გ) წარუდგინოს ანგარიში უმაღლეს ხელმძღვანელობას მენეჯმენტის სისტემის მუშაობისა და მისი განსამტკიცებლად საჭირო ნებისმიერი ღონისძიების შესახებ.

წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტაცია, პროცესი, სისტემა, ჩანაწერი და სხვა უნდა იყოს თანდართული, თანმხლები ან კეთდებოდეს მითითებები მენეჯმენტის სისტემის დოკუმენტაციაზე.

ინსპექტირების საქმიანობაში ჩართულ მთელ პერსონალს ხელი უნდა მიუწვდებოდეს მენეჯმენტის სისტემის დოკუმენტაციის ამა თუ იმ ნაწილსა და მათი პასუხისმგებლობის ფარგლებში სათანადო ინფორმაციაზე.

### 3.4.2 დოკუმენტების მართვა

ინსპექტირების ორგანომ უნდა დაადგინოს პროცედურები, რათა მართოს დოკუმენტები, რომლებიც უკავშირდება წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტის დაკმაყოფილებას.

პროცედურებმა უნდა განსაზღვროს მართვა, რომელიც საჭიროა რათა:

- ა) გამოყენებამდე დამტკიცდეს დოკუმენტი ადეკვატურობა;
- ბ) გადაიხედოს და განახლდეს (საჭიროების შემთხვევაში) და ხელახლა დამტკიცდეს დოკუმენტი;
- გ) უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ცვლილებები და დოკუმენტების მიმდინარე გადახედვის სტატუსი იდენტიფიცირებულია;
- დ) უზრუნველყოფილ იქნეს, რომ გამოსაყენებელი დოკუმენტის შესაბამისი ვერსია ხელმისაწვდომია მათი დანიშნულების ადგილზე;
- ე) უზრუნველყოფილ იქნეს, რომ დოკუმენტები დარჩეს გასაგებად დაწერილი და ადვილად იდენტიფიცირებადი;
- ვ) უზრუნველყოფილ იქნეს, რომ გარე წარმოშობის დოკუმენტები იყოს იდენტიფიცირებული და მათი გავრცელება ექვემდებარებოდეს მართვას;
- ზ) თავიდან ავიცილოთ გაუქმებული დოკუმენტების უნებლიე გამოყენება და მოხდეს მათი შესაბამისი იდენტიფიცირება, თუ ისინი ინახება რაიმე მიზნებისათვის, საჭიროა აღნიშნულის შენახვა..

დოკუმენტაცია შეიძლება არსებობდეს ნებისმიერი ფორმის და ტიპის მატარებელზე და მოიცავდეს საავტორო უფლებით დაცულ და შიდა მოხმარებისთვის შემუშავებულ პროგრამულ უზრუნველყოფას.

### 3.4.3 ჩანაწერების მართვა

ინსპექტირების ორგანომ უნდა დაადგინოს პროცედურა, რათა განსაზღვროს ჩანაწერების იდენტიფიკაციის, შენახვის, დაცვის, მოძიების, შენახვის ვადებისა და განადგურებისათვის საჭირო მეთოდი.

ინსპექტირების ორგანომ უნდა ჩამოაყალიბოს ჩანაწერების შენახვის პროცედურები იმ ვადით, რომელიც შეესაბამება მის საკონტრაქტო და იურიდიულ ვალდებულებებს (სამი წელი). აღნიშნული ჩანაწერების ხელმისაწვდომობა უნდა შეესაბამებოდეს კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ შეთანხმებას.

### 3.4.4 მენეჯმენტის ანალიზი

ინსპექტირების ორგანოს უმაღლესმა ხელმძღვანელობამ უნდა ჩამოაყალიბოს დროის დაგეგმილ ინტერვალში საკუთარი მენეჯმენტის სისტემის ანალიზისთვის საჭირო პროცედურები, რათა უზრუნველყოს სისტემის მუდმივი შესაბამისობა, ადეკვატურობა და შედეგიანობა წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, დადგენილი პოლიტიკისა და მიზნების ჩათვლით.

მსგავსი ანალიზი უნდა ჩატარდეს, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ. როგორც ალტერნატივა, სრული ანალიზი (რეგულარული ანალიზი) შესაძლებელია დაიყოს ნაწილებად და შესრულდეს 12 თვის განმავლობაში. ზემოთ აღნიშნული ანალიზის გამოთვლების წარმოება სავალდებულოა.

მენეჯმენტის ანალიზის შემავალი მონაცემები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება:

- ა) შიდა და გარე აუდიტის შედეგებს;
- ბ) მომხმარებლებისა და დაინტერესებული მხარეების მიერ უკუკავშირს, რომელიც უკავშირდება წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტის შესრულებას;
- გ) პრევენციული და მაკორექტირებელი ღონისძიებების სტატუსს;
- დ) წინა მენეჯმენტის ანალიზის შედეგად განხორციელებულ ქმედებებს;
- ე) მიზნების შესრულებას;
- ვ) ცვლილებებს, რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა მენეჯმენტის სისტემაზე;
- ზ) საჩივრებსა და აპელაციებს.

მენეჯმენტის ანალიზის გამომავალი მონაცემები უნდა მოიცავდეს გადაწყვეტილებებსა და ქმედებებს, რომლებიც უკავშირდება:

- ა) მენეჯმენტის სისტემისა და მისი პროცესების შედეგიანობის გაუმჯობესებას;
- ბ) ინსპექტირების ორგანოს გაუმჯობესებას, რომელიც უკავშირდება წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტის განხორციელებას;
- გ) საჭირო რესურსებს.

### 3.4.5 შიდა აუდიტი

ინსპექტირების ორგანომ უნდა ჩამოაყალიბოს შიდა აუდიტის პროცედურები, რათა მოახდინოს წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების ვერიფიკაცია და ვერიფიკაცია იმისა, რომ მენეჯმენტის სისტემა დაინერგა შედეგიანად და შენარჩუნებულია. ისო 19011 წარმოადგენს რეკომენდაციებს შიდა აუდიტის ჩასატარებლად.

აუდიტის პროგრამის დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს როგორც, აუდიტის სფეროსა და პროცესების მნიშვნელოვნება, ასევე, წინა აუდიტების შედეგები.

ინსპექტირების ორგანომ პერიოდულად უნდა ჩატაროს შიდა აუდიტი, რომელიც მოიცავს ყველა პროცედურას დადგეგმილი და სისტემატური სახით, რათა მოახდინოს ვერიფიკაცია იმისა, რომ მენეჯმენტის სისტემა დაინერგა და შედეგიანია;

შიდა აუდიტი უნდა ჩატარდეს, სულ მცირე, 12 თვეში – ერთხელ. შიდა აუდიტის ჩატარების სიხშირე შესაძლებელია განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ რამდენად თვალსაჩინოა მენეჯმენტის სისტემის შედეგიანობა და დადასტურებულია მისი სტაბილურობა.

ინსპექტირების ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ:

- ა) შიდა აუდიტი ჩატარებული იყოს კვალიფიცირებული პერსონალის მიერ, რომელმაც იცის ინსპექტირება, აუდიტი და წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნები.
- ბ) აუდიტორები არ ატარებენ თავიანთი სამუშაოს აუდიტს;
- გ) პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტირებულ ობიექტზე, ინფორმირებული იყოს აუდიტის საბოლოო შედეგების შესახებ;
- დ) შიდა აუდიტის შედეგად გამოწვეული ნებისმიერი ქმედება განხორციელდეს დროულად და სათანადოდ;
- ე) განისაზღვროს გაუმჯობესების ნებისმიერი შესაძლებლობა;
- ვ) აუდიტის შედეგები დოკუმენტირებული იყოს.

### 3.4.6 მაკორექტირებელი ღონისძიებები

ინსპექტირების ორგანომ უნდა შეიმუშაოს თავის საქმიანობაში არსებული შეუსაბამობების იდენტიფიკაციისა და მენეჯმენტისათვის საჭირო პროცედურები.

ინსპექტირების ორგანომ, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მიიღოს ზომები შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად მათი ხელახლა განმეორების თავიდან ასაცილებლად.

მაკორექტირებელი ღონისძიებები უნდა ახდენდეს შესაბამის ზემოქმედებას თანმხვედრ პრობლემებზე.

პროცედურებმა უნდა განსაზღვროს შემდეგი მოთხოვნები:

- ა) შეუსაბამობების იდენტიფიკაცია;
- ბ) შეუსაბამობების მიზეზების განსაზღვრა;
- გ) შეუსაბამობების კორექცია;
- დ) იმ ღონისძიებების საჭიროების შეფასება, რომლებიც აუცილებელია შეუსაბამობების გამეორების თავიდან ასაცილებლად;
- ე) საჭირო ღონისძიებების განსაზღვრა და მათი დროული დანერგვა;
- ვ) გატარებული ღონისძიებების შედეგების დოკუმენტირება;
- ზ) მაკორექტირებელი ღონისძიებების შედეგიანობის გადასინჯვა.

### 3.4.7 პრევენციული ღონისძიებები

ინსპექტირების ორგანომ უნდა ჩამოაყალიბოს პროცედურები პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად პოტენციური შეუსაბამობების მიზეზების თავიდან აცილების მიზნით.

გატარებული პრევენციული ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს პოტენციური პრობლემით გამოწვეულ შესაძლო უარყოფით ზემოქმედებებს.

პრევენციული ღონისძიებების პროცედურებმა უნდა განსაზღვროს შემდეგი მოთხოვნები:

- ა) პოტენციური შეუსაბამობებისა და მათი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება;
- ბ) იმ ღონისძიებების საჭიროების შეფასება, რომლებიც აუცილებელია შეუსაბამობის ასაცილებლად;
- გ) საჭირო ღონისძიებების განსაზღვრა და მათი დროული განხორციელება;
- დ) გატარებული პრევენციული ღონისძიებების შედეგების დოკუმენტირება;
- ე) გატარებული პრევენციული ღონისძიებების შედეგიანობის ანალიზი.



#### 4 დადგენილება 511, დადგენილება 510 – საქართველოს მთავრობა

პროვაიდერი (პრეტენდენტი) განახორციელებს შემოწმებას და მას არ უნდა ჰქონდეს რეზერვირება საქართველოს რესპუბლიკის პერიოდული ტექნიკური მომსახურების სატენდერო დოკუმენტაციასთან (RFP) დაკავშირებით, რაც გათვალისწინებულია 2017 წლის 1 დეკემბერს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით.

პირველადი აუდიტი დარეგულირებულ უნდა იქნეს 2017 წლის 1 დეკემბერს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, რომელიც მოიცავს ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს.

აღნიშნულ შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს წინა დოკუმენტაციაში აღწერილი და საქართველოს მთავრობის მიერ პტი ცენტრებთან დაკავშირებით მიღებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები შენობებთან, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების აღჭურვილობებთან, პერსონალის ტექნიკურ კვალიფიკაციებთან და სწავლებებთან დაკავშირებით.

მეორეს მხრივ, პტი ოპერატორთა მიერ დაცული უნდა იქნეს ISO 17020. აღნიშნული გულისხმობს მათი საქმიანობის დარეგულირებას მითითებული საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, რაც მოიცავს ინსპექტირების იმ ორგანოების საქმიანობას, რომელთა სამუშაოც შესაძლოა მოიცავდეს მასალების, პროდუქტების, დანადგარების, საწარმოების, პროცესების სამუშაო პროცედურების ან მომსახურებების შემოწმებას, მათ შესაბამისობას მოთხოვნებთან, აღნიშნული საქმიანობის შედეგების კლიენტებისთვის, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, კი ხელისუფლებისათვის მიწოდებას. პტი მომსახურება წარმოადგენს საჯარო მომსახურებას, რომლის რეგულირება და მონიტორინგი ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო უწყებების მიერ და, შესაბამისად, პტი საქმიანობა საჭიროებს პროფესიონალური შეფასების გამოყენებას ინსპექტირების განხორციელებისას, კერძოდ კი, ზოგად მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრისას.

ანგარიშის წარდგენა და საქმიანობის მიმოხილვა წარმოადგენს პტი ცენტრის ვალდებულების აღმნიშვნელ ფრაზას, რომელიც გულისხმობს მოხსენების წარდგენას სახელმწიფო უწყებებისათვის. აღნიშნული წარმოადგენს სავალდებულო საქმიანობას. პტი-ის მიერ დადასტურებული უნდა იქნეს, რომ მას გააჩნია შესაბამისი ინფორმაციის გენერირების, შეფასებისა და გაგზავნის სათანადო საინფორმაციო სისტემა პტი საქმიანობის განვითარების კონტროლისა და მონიტორინგის მიზნით. აღნიშნული სახის მოხსენებების შინაარსი აგრეთვე აღწერილია აუდიტის შესახებ დოკუმენტში, იხილეთ შესაბამისი დანართი, რომელიც თან მოჰყვება საერთაშორისო სტანდარტით განსაზღვრულ და საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებულ KPI კოეფიციენტებს.

#### 5 შიდა კონტროლი

შიდა კონტროლი წარმოადგენს პროცესს, რომელიც უნდა განხორციელდეს პტი მიმართებაში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გონივრული გარანტიები შემდეგი კატეგორიების მიზნების მისაღწევად:

- ა) ეფექტურობა;
- ბ) ფინანსური მოხსენების სანდოობა;
- გ) გამოყენებად სამართლებრივ ნორმებთან და რეგლამენტებთან შესაბამისობა;

შიდა კონტროლი წარმოადგენს ბიზნეს პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს გონივრულ დაზღვევას რიგ ბიზნეს მიზნებთან დაკავშირებით:

- ა) ბიზნეს საქმიანობა მიმდინარეობს ეფექტურად;

- ბ) უზრუნველყოფილია აქტივების დაცვა;
  - გ) დაცულია კომპანიის რეპუტაცია;
  - დ) უზრუნველყოფილია მოხსენების სანდოობა და ბიზნესის შესაბამისობა გამოყენებად რეგლამენტებთან და შიდა პროცედურებთან;
  - ე) ყველა თანამშრომელი იცავს კომპანიის პოლიტიკასა და პროცედურებს;
- ISO 17020:2012 საფუძველზე შიდა კონტროლი წარმოადგენს რეკომენდებულ ინსტრუმენტს და აღნიშნული უნდა დაიყოს:
- ა) პტი ცენტრი მისწრაფვის პრევენციული (პროაქტიური) კონტროლის (აქტივების ავტორიზაცია, დამტკიცება, შემოწმება, უსაფრთხოება) განხორციელებისკენ. კონტროლის აღნიშნული სახეობა მიმართულია ნებისმიერი შეცდომის ან უწყსრიგობის აღმოფხვრისკენ, რომელმაც თავის მხრივ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს პტი ცენტრზე.
  - ბ) დეტექტიური; დეტექტიური კონტროლი (საქმიანობის მიმოხილვა, შეთანხმება, ინვენტარიზაცია, აუდიტი ...) განკუთვნილია სხვადასხვა სახის შესაძლო შეცდომებისა და უწყსრიგობების გამოსავლენად და აღმოსაჩენად, რომლებმაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს პტი მიერ მიზნის მიღწევის უნარზე.

## 6 ურთიერთშედარების მეთოდოლოგია

მაღალი ხარისხის დონის უზრუნველყოფის მიზნით პტი ოპერატორების მიერ ზედამხედველ ორგანოსთან ერთად დაცული უნდა იქნეს ინსპექტირების პროცესის შედეგების შედარების პროცედურა.

აღნიშნული პროცედურის მეშვეობით შემუშავებული უნდა იქნეს საინფორმაციო სისტემა, რომელიც მოგვცემს განხორციელებული ინსპექტირებისა და აღნიშნულის შედეგების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. ამრიგად, საზედამხედველო უწყების მიერ განხორციელებული უნდა იქნეს შესაბამისი კონტროლი.

პტი ცენტრების მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საინფორმაციო სისტემა, რომლის შესაბამისადაც ინსპექტირების ამსახველი მოხსენების შემცველი ინსპექტირების მონაცემები გადაიგზავნება ვებმომსახურების მეშვეობით.

აღნიშნული სახის მოხსენება წარმოგვიდგენს ინფორმაციას, რომელიც განკუთვნილია ნებისმიერ პტი ცენტრში განხორციელებული ინსპექციის გამჭვირვალობისა და ერთგვაროვნების უზრუნველსაყოფად. ყველა მათგანი რეგულირდება მოქმედი პრაქტიკული სახელმძღვანელოს შესაბამისად. აღნიშნული პროცედურა მოგვცემს პტი ცენტრებს შორის ერთგვაროვნების დონის შედარების შესაძლებლობას.

პტი ცენტრების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არ უნდა მოიცავდეს ავტომატურად მიღებულ მფლობელთა პირად მონაცემებს და აღნიშნულის გამოყენებით შესაძლებელი უნდა იყოს პტი სისტემის დაინტერესებულ პირთათვის სასარგებლო სტატისტიკის შედგენა.

### 6.1 მოცულობა

ინსპექტირება და გარკვეული დროის განმავლობაში განხორციელებული განმეორებითი ინსპექტირება ყველა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით

<b>ასს-ების კატეგორიები</b>
პირადი დანიშნულების 3 500 კგ-მდე ნებადართული მაქსიმალური მასის მქონე ავტომობილი (გარდა მოტოციკლისა), რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, 8-ს არ აღემატება; (M <sub>1</sub> )
პირადი დანიშნულების მოტოციკლები (L <sub>1</sub> , L <sub>2</sub> , L <sub>3</sub> )
<b>მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი</b>
3 500 კგ-მდე ნებადართული მაქსიმალური მასის მქონე ავტომობილი (გარდა მოტოციკლისა), რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, 8-ს არ აღემატება; (M <sub>1</sub> )
5 000 კგ-მდე ნებადართული მაქსიმალური მასის და 8-ზე მეტი დასასხდომი ადგილის (მძღოლის ადგილის გარდა) მქონე მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება (M <sub>2</sub> )
5 000 კგ-ზე მეტი ნებადართული მაქსიმალური მასის და 8-ზე მეტი დასასხდომი ადგილის (მძღოლის ადგილის გარდა) მქონე მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება (M <sub>3</sub> )
<b>ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილი</b>
3500 კგ-ზე ნაკლები ნებადართული მაქსიმალური მასის და არანაკლებ ოთხი თვლის მქონე, ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილი, ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებები ავტოსატრანსპორტო საშუალებები (N <sub>1</sub> )
3500 კგ-ზე მეტი და 12 000 კგ-ზე ნაკლები ნებადართული მაქსიმალური მასის მქონე, ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილი, ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებები (N <sub>2</sub> )
12 000 კგ-ზე მეტი ნებადართული მაქსიმალური მასის მქონე, ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილი, ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებები (N <sub>3</sub> )
მისაბმელები და ნახევარმისაბმელები (O <sub>1</sub> , O <sub>2</sub> , O <sub>3</sub> , O <sub>4</sub> )

## 6.2 ურთიერთშესადარებელი სია

შედგენილი სტატისტიკური ანალიზი უნდა მოიცავდეს სრულყოფილ ინფორმაციას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება იმის გარკვევა, თუ ინსპექტირების რომელი ელემენტები არის შესაბამისი ან შეუსაბამო ინსპექტირების მოთხოვნებთან, ისევე როგორც მითითებული უნდა იყოს შეკეთებისათვის საჭირო დრო.

აღნიშნულის მეშვეობით შესაძლებელია განისაზღვროს, თუ რომელი პტი ცენტრი გვიჩვენებს გადახრას სტანდარტული პარამეტრებიდან. შემოთავაზებული ნუსხა:

- უარყოფილი ინსპექტირების პროცენტული მაჩვენებელი და დაწუნებული სატრანსპორტო საშუალების ძირითადი ხარვეზების რაოდენობა;
- დროის პერიოდი წარუმატებელ ინსპექტირებასა და განმეორებით ინსპექტირებას შორის;
- ძირითადი ხარვეზები პრაქტიკული სახელმძღვანელოს თავის შესაბამისად;
- ძირითადი ხარვეზები პრაქტიკული სახელმძღვანელოს ქვეთავის შესაბამისად;

### 6.2.1 ურთიერთშესადარება 1: დაწუნებულ ასს-ებში უარებისა და ძირითადი დეფექტების პროცენტული მაჩვენებელი

**მიზანი:** დაწუნების მიზეზის პროცენტული მაჩვენებლის ანალიზი პტი თითოეულ ცენტრთან, სატრანსპორტო საშუალების კატეგორიასთან და დაწუნებული ავტომანქანის ძირითად ხარვეზებთან მიმართებაში, შედარება მოხმარებაში არსებულ ყველა საავტომობილო პარკთან;

**მოცულობა:** შემოწმება;

**ჩამონათვალი:**

- ა) თითოეული პტი ცენტრი (რიგები) და სატრანსპორტო საშუალების კატეგორია:
  - o უარყოფის % ;
  - o შემოწმებული სატრანსპორტო საშუალების მთავარი ხარვეზების რაოდენობა;
- ბ) სვეტები: საერთო:
  - o ჩატარებული შემოწმების რაოდენობა;
  - o ვერგავილი ინსპექტირების პროცენტი;
- გ) ბოლო რიგი (ქვეყანაში მოხმარებაში არსებული საავტომობილო პარკები) გვიჩვენებს იმავე ინფორმაციას, მხოლოდ ყველა პარკთან მიმართებაში.

**დაანგარიშების მეთოდი:** თითოეული სატრანსპორტო საშუალების კატეგორიის შესაბამისად, ვერგავილი ინსპექტირების რაოდენობა გაიყოფა ჩატარებული ინსპექტირების საერთო რაოდენობაზე და გამრავლება 100-ზე.

ვერგავილი ინსპექტირებისას გამოვლენილი ძირითადი ხარვეზების საერთო რაოდენობა გაიყოფა დაწუნებული ავტომანქანების საერთო რაოდენობაზე.

**6.2.2 ურთიერთშედარება 2: ვერგავილი ინსპექტირებასა და განმეორებით ინსპექტირებას შორის არსებული დროის პერიოდი**

**მიზანი:** ვერგავილი ინსპექტირებასა და განმეორებით ინსპექტირებას შორის არსებული დროის ანალიზი.

აღნიშნულის მეშვეობით უნდა განისაზღვროს ვერგავილი ინსპექტირების პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც კლასიფიცირდება განსაზღვრული დროის შემდგომ განმეორებით განსახორციელებელ ინსპექტირებად.

**მოცულობა:** ყველა ინსპექტირება, რომელიც დასრულდება დამაკმაყოფილებელი შედეგით;

**ჩამონათვალი:** თითოეულ პტი ცენტრთან და განსაზღვრულ დროსთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იქნეს დამაკმაყოფილებელი შედეგით დასრულებული განმეორებითი ინსპექტირების პროცენტული მაჩვენებელი ვერგავილი ინსპექტირების რაოდენობასთან მიმართებაში.

- ა) ბოლო სვეტი წარმოგვიდგენს აღნიშნულის სტანდარტულ გადახრას მათემატიკური ფორმულის შესაბამისად;
- ბ) ბოლო რიგი წარმოგვიდგენს იმავე ინფორმაციას, მხოლოდ ყველა პარკთან მიმართებაში.

**დაანგარიშების მეთოდი:** გასათვალისწინებელი პერიოდის შესაბამისად, აღნიშნულით დაანგარიშებული უნდა იქნეს დამაკმაყოფილებელი შედეგით დასრულებული განმეორებითი ინსპექტირება და წარსულში ვერგავილი ინსპექტირება, რა დროსაც ვიღებთ მათ შორის არსებულ დროს და ვქმნით შემდეგ ინტერვალებს:

- 1 საათზე ნაკლები;
- 1 და 3 საათს შორის;
- 3 და 24 საათს შორის;
- 1 და 2 დღეს შორის;
- 2 და 15 დღეს შორის;
- 15 დღეზე მეტი ;

**6.2.3 ურთიერთშედარება 3: ძირითადი ხარვეზები პრაქტიკული სახელმძღვანელოს თავის შესაბამისად**

**მიზანი:** თითოეული პტი ცენტრის მიერ გამოვლენილი ძირითადი ხარვეზების ანალიზი პრაქტიკული სახელმძღვანელოს თავების შესაბამისად;

**მოცულობა:** ვერგავლილი ინსპექტირება;

**ჩამონათვალი:** თითოეული პტი ცენტრის და სატრანსპორტო საშუალებების კატეგორიის შესაბამისად, აღნიშნულის მეშვეობით განისაზღვრება ინსპექტირების ყველა პროცედურის დროს გამოვლენილი ძირითადი ხარვეზების რაოდენობა და 100 ინსპექტირების განმავლობაში გამოვლენილი ხარვეზების რაოდენობის კოეფიციენტი, რომელთა კლასიფიცირებაც განხორციელდება პრაქტიკული სახელმძღვანელოს შესაბამისად.

- ა) ბოლო სვეტი განსაზღვრავს არადამაკმაყოფილებელი შედეგებით დასრულებული ინსპექტირების მაჩვენებლებს;
- ბ) ბოლო რიგი განსაზღვრავს იმავე ინფორმაციას ყველა პარკთან მიმართებაში.

**დაანგარიშების მეთოდი:** აღნიშნული განსაზღვრავს საერთო რაოდენობის ვერგავლილი ინსპექტირებისას გამოვლენილ ძირითად ხარვეზებს, როელთა კლასიფიცირებაც განხორციელდება ტექნიკური სახელმძღვანელოს თავის მიხედვით.

კოეფიციენტი (ძირითადი ხარვეზი / 100 ინსპექტირება) განისაზღვრება განხორციელებული ინსპექტირებისას გამოვლენილი ხარვეზების საერთო რაოდენობის 100–ზე გამრავლებით.

#### 6.2.4 ურთიერთშედარება 4: ძირითადი ხარვეზები პრაქტიკული სახელმძღვანელოს ქვეთავის შესაბამისად

აღნიშნული ურთიერთშედარება ხორციელდება წინა ურთიერთშედარების მსგავსად, თუმცა პრაქტიკული სახელმძღვანელოს ქვეთავის შესაბამისად.

#### 6.2.5 დაშვების ზღურბლი

შედეგები შეესაბამებიან ჩვეულ გადანაწილებას ან გაუს–ბელს. აღნიშნული გადანაწილება შეესაბამება საშუალო და სტანდარტულ გადახრებს, რომელთა მნიშვნელობაც მარტივი მისაღებია.

ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ 68.25% სიდიდე ექცევა გაუს–ბელის საშუალო სიდიდის მაჩვენებლის ფარგლებში  $\pm$  სტანდარტული გადახრა,  $\pm 10$  საშუალოსთან მიმართებაში.

## 7 დანართები

### 7.1 დანართი 1: ნიმუშები

- ა) აუდიტის ჩატარების მოთხოვნის ფორმა;
- ბ) ოპერატორების განაცხადებისა და სტარტაპის შეფასების სახელმძღვანელო: დადგენილება 511 - ტექნიკური რეგლამენტი პტი ცენტრებისთვის;
- გ) ISO 17020:2012 სტანდარტის შესაბამისობაზე საოპერაციო სამუშაოების შეფასების სახელმძღვანელო.

### 7.2 დანართი 2: ტენიკური მომსახურების გრაფიკი და კალიბრაციის გეგმა

### 7.3 დანართი 3: აუდიტის ჩატარების მოთხოვნის ფორმა: აუდიტის პროგრამა

## 7.4 დანართი 4: შიდა აუდიტის პროცედურა

### 7.4.1 მიზანი

წარმოდგენილი პროცედურა აღწერს სახელმძღვანელო პრინციპებს, რითაც უზრუნველყოფს შიდა აუდიტის ფუნქციების შესაბამისობას პტი მმართველობის დანერგვის, უზრუნველყოფისა და ხანგრძლივი გაუმჯობესების ეფექტურად მისაღწევად.

### 7.4.2 მოცულობა

წარმოდგენილი პროცედურა მოიცავს პტი ცენტრებში შიდა აუდიტის დაგეგმვას, განრიგებისა და მოხსენებების შედგენასა და შიდა აუდიტის შესრულებას დანერგილი ISO სერტიფიცირებისა და აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად.

### 7.4.3 პასუხისმგებლობა

წარმოდგენილი მართვის სისტემის დაგეგმვაში, დანერგვაში, განხორციელებასა და უზრუნველყოფაში ჩართული პერსონალი პასუხისმგებელია საქმიანობის განხორციელებაზე წინამდებარე პროცედურის შესაბამისად.

### 7.4.4 განმარტებები

აღნიშნულთან დაკავშირებით მოქმედებს ISO 9000, ISO 9001 და ISO 17020 სტანდარტები.

### 7.4.5 დაკავშირებული დოკუმენტები

- ა) მართვისა და ექსპლუატაციის სახელმძღვანელო;
- ბ) აუდიტი ადგილზე /მოხსენება ექსპლუატაციის შესახებ;

### 7.4.6 პროცედურა

- ა) შიდა აუდიტი უნდა განხორციელდეს პერიოდული გეგმით გათვალისწინებული შიდა აუდიტის განრიგის (განსაზღვრა) შესაბამისად.
- ბ) ყოველწლიურად უნდა ჩატარდეს ერთი შიდა აუდიტი. აუდიტის დაგეგმვისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს თითოეული ოპერაციის ან პროცესის აუდიტის ჩატარება სულ მცირე წელიწადში ერთხელ. თითოეული ინსპექტორი შემოწმებული უნდა იქნეს შესაბამისი კომპეტენციის სფეროში სულ მცირე წელიწადში ერთხელ. პერსონალი და შემოწმების სფერო, რომელიც არადაამაკმაყოფილებლად აისახება აუდიტის მოხსენებაში, აუცილებლად უნდა იქნეს შემოწმებული რეგულარულად. აღნიშნული შემოწმებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მითითებული საქმიანობის კრიტიკული დონე და დაუყოვნებლივი გამოსწორების საჭიროება.
- გ) აუდიტორები დამოუკიდებლები უნდა იყვნენ იმ კონკრეტული საქმიანობისგან, რომელიც მოწმდება კომპანიაში მუდმივად დასაქმების საფუძველზე და გავლილი უნდა ჰქონდეთ აუდიტის ჩასატარებელი შესაბამისი სწავლება. სადგურის მენეჯერის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესაბამისი სტანდარტების მოთხოვნების დაცვა და შესაბამისობა აუდიტორის კვალიფიკაციასთან მიმართებაში. სხვა მხარეების მიერ, ჩატარებული აუდიტი, მაგალითად, როგორცაა მომხმარებელი, არ განიხილება, ისევე როგორც კომპანიის მიერ შესრულებული აუდიტი.
- დ) აუდიტორის მიერ განხილული უნდა იქნეს მმართველობის სისტემა, სამუშაო ინსტრუქციები და პროცედურები კომპეტენციასთან და ადექვატურობასთან მიმართებაში.

აუდიტორის მიერ მოძიებული უნდა იქნეს ობიექტური მტკიცებულება შესამოწმებელი სფეროების ფუნქციონალური დარგების პროცედურების განხორციელებასთან და სამუშაო წესებთან დაკავშირებით.

- ე) შეუსაბამობების დოკუმენტურად აღწერა განხორციელდება შიდა აუდიტის მოთხოვნის ფორმაში. დროის მონაკვეთი შეთანხმებული იქნება მენეჯერთან, რომელმაც უნდა შეაფასოს შეუსაბამობების სერიოზულობა. გამოსასწორებელი ღონისძიებების დასრულება შემოწმებული უნდა იქნეს მართვის დეპარტამენტთან ერთად, რის შემდგომაც აღნიშნულს დაასრულებენ აუდიტორები.
- ვ) ხელმძღვანელობის მიერ შენახული უნდა იქნეს ყველა აუდიტის დეტალური დოკუმენტური ჩანაწერები. აღნიშნული ჩანაწერები ხელმძღვანელობას მიაწვდის საქმიანობის ამსახველ ხანგრძლივ ჩანაწერს, მიანიჭებს გარკვეული სფეროების სისუტეების იდენტიფიცირების შესაძლებლობას და აგრეთვე წარუდგენს მონაცემებს ტენდენციის ანალიზთან და აუდიტორთა საქმიანობის შეფასებასთან დაკავშირებით.

#### 7.4.7 ჩანაწერები

- ა) აუდიტის განრიგები;
- ბ) გამოსასწორებელი ქმედების მოთხოვნის ფორმა;
- გ) აუდიტის საკონტროლო სია;
- დ) აუდიტორის დასკვნა;

### 8 ნორმატივები, მინიშნებები და ბიბლიოგრაფია

SGS აცხადებს, რომ ქვემოთ მითითებულ ნორმატივებზე (რომლებიც მითითებული იყო წინა ანგარიშებში), მინიშნებებსა და ბიბლიოგრაფიაზე მეტად, კონსულტირებისას ის ეყრდნობა საკუთარ პრაქტიკასა და გამოცდილებას.

- ა) საქართველოს მთავრობის დადგენილება N 511, 2017 წლის 1 დეკემბერი, „ტექნიკური რეგლამენტის – ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების“ დამტკიცების თაობაზე
- ბ) საქართველოს მთავრობის დადგენილება N 510, 2017 წლის 1 დეკემბერი, „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე
- გ) ISO/IEC 17000, შესაბამისობის შეფასება – ლექსიკონი და ზოგადი პრინციპები;
- დ) ISO/IEC 17020, შესაბამისობის შეფასება;
- ე) ISO 9000:2005, ხარისხის მართვის სისტემები – ძირითადი პრინციპები და ლექსიკონი;
- ვ) ISO 9001, ხარისხის მართვის სისტემები — მოთხოვნები;
- ზ) ISO 19011, ხარისხის და/ან გარემოს დაცვის მართვის სისტემების აუდიტის სახელმძღვანელო;